

1956

საქართველო
XVII უკიდობის
მოაწესებარი პარტიის
დალგენაცია !

საქართველო
გიგანტის განვითარება



— ხად გარბიხარ, ამხანაგო?..
— ჩეენი ქარხნის ღირექცორი გამოდის ხიტუვით და ახალი მაჩვენებლები უნდა მიგაწოდო: რაც ხიტუვაში ჰქონდა,
ამ დღეებში უკვე მოძველდა.

ოუ ბუ

№ 1

საქართველოს „კომუნისტი“ რელი XXXIV ვარ 2 გან. თბილისი იანვარი

1956

ბრძოლას სა ხელოს მსახური

თარიღი 1936 წლი
გიგანტი

ახალ გამარჯვებათა შელი დაიწყო, მექანიკების ხუთშლედის საძირკვლის ჩამყრელი შელიშადი დადგა!

მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ სიცილის შესახებ.

საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთ და ვისა აქვს უფლება იცინოდეს ჩვენზე უფრო მეტად, უფრო ჯანსაღად, უფრო გულიანად.

გასულ შელს გეგმას კარგა ბლომად სიცილდე დამაკლდა და ზოგჯერ ვერ ვაცინებდი ისე, როგორც ეს ჩემს პატივებულ მექითხველს ეკუთვნის (თვითქრიტიკული ზრდილობის გამო ვამბობ, თორებ ეს მექითხველებმა უკეთ იციან).

სარგებლობდნენ რა ამით, ზოგჯერ იცინოდნენ, სიხარულით ფეხზე ალარ იდგნენ ბიუროერატები და ხელისშემზღვები.

კუჩხელეტდი ჩემს ჩანგალს, შეწყვეტდა ხითხითს უქნარა და მექითხებოდა:

— ვინა ხარ, ძამია, რა გინდა ჩემგან?!

ავუხსნიდი, რომ იგი, ბიუროერატი, თუ უფრო ფართო მასშტაბის ხელისშემზღველი იყო, ხელს გვიშლიდა წინსკლაში, გზას გვიღობავდა, ფეხს გვიბორკავდა.

— მერე შენ ვინ გითხავს? ნიანგი თუ ხარ, სახუმარო სხვა ვერავინ ნახე, მომეშვი, ბიძიკო, თორებ ერთ კი საჩივარს დაწერ და. გონია, შენზე ნაკლები ნაცნობები მყავს?..

— ნაცნობები რომ გყავს, სწორედ იმიტომ გიჩავლიტე.

— მომეშვი, თუ ძმა ხარ, რა დროს კრიტიკა, ხომ ხედავ რამხელა საქმეს ვატრიალებ!

— ამას მე ხალხის დაგალებით ვაკეთებ, ხალხი მოისოდეს კრიტიკის გაშლას, ჩვენი გოგოლები და შედრინები გვინდა...

— მერე და შენ რომელი გოგოლი და შედრინი ხარ?

— მინდა ვიყო.

— აფერუმ შენს საქმეს! იყავი, ვინ დაგიშალა? მხოლოდ, თუ ძმა ხარ, ჩემზე ნურაფერს დაწერ.—და ხელისშემზღველი ნაძალადევად ილიმებოდა ულვაშებში, „საერთო ენის“ გამონახეას ცდილობდა.

იქრიშს მივიტანდი, ანუ როგორც იტყვიან, კრიტიკის შანთით ამოწვას შევბეჭავდი.

— რა ამბავია. რაშია საქმე?—ომახიანად დაიძახებდა ბებია.

— თქვენ რა, ბებია ბრძანდებით? რა ახალგაზრდად გამოიყურებით! მოეშვით, ყაფლან ყაფლანის დაცვა არ სჭირდება, მისი საქმე საიმედო ხელშია.

— არა, მე არ ვიცავ... ვინ მოგახსენათ, რომ ვიცავ, როგორ ბედავთ მაგის თქმას, მე და დაცვა?! მხოლოდ ყაფლანის თავი უნდა დაანებო, არ არის საჭირო...

მოდი და დაუჯერე ბებია!

მაგრამ ბებიაც არის და ბებიაც.

ერთნი რომ შემოკამათებას ბედავდნენ, მეორენი, უფრო ჭევიანი ბებიები ძუძუს გოგებიერით გატერინდებოდნენ ხოლმე. საყვარელ შეილიშვილს თავზე ხელს გადაუსვამდნენ, „რას გერჩოდა, შე სოცოდაორ“, ეტყოდნენ, „ბიჭუნას“ სადმე კუთხეში, საიმედო ადგილას მიაყენებდნენ და გაინაპებოდნენ—„აცა, რას იზამს ნიინგიო“. მივწერდი, გავახსენებდი—შენი შეილიშვილი ცელქობს, მოუარე-მეთქი. „მარტო ჩემი შვილი-შვილი ცელქობსო“—გაიტიქრებდა გუნებაში ბებია და ისევ ჩუმად იყო.

ასეთი ბებიები ცველაზე მეტად გაუმრავდლენ, მაგალით, სავაჭრო ორგანიზაციებს, საბინაო სამართველოებს. რკინიგზელებს, ზუგდიდის ავტოტრანსის კანტორას და სხვ.

ჩემს პრაქტიკაში ბევრჯერ შემხვედრია გაამაყებული. მოინტრიგანო ბებიაც.

— როგორ თუ ჩემმა ბიჭიკომ ამდენი და ამდენი გაფლანგა! მაგის ნახევარი ძლიერ შეჭამა. რას ჭორიკანობ, თუ იცი!—აკვირდებოდა ბებიკო.

ასეთი ბებია გამოუჩნდა, მაგალითად, თელავის ქალაქის საბჭოს, (რომელმაც ორ მოლვაწეს ერთი საფლავის ქვაშეაწია), სოფ. ბირლიკისა და ტატიანოვკის კოლმეურნეობებს და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას.

მაგრამ ბებიას გვერდით ახალი ტიპის უქნარა გაჩნდა.

ეს ვაებატონი თავად არაფერს აშავებს. არის თავის-თვის, კაცად კარგი კაცია, წესიერიად აცვია, არაფერს აფუ-კებს. მაგრამ ტრესტი რომ შმართველმა სალარო გადაყლა-პოს, შეხედავს და იტყვის:

— რა ჩემი საქმეა!

ახლა მოლარეს მისდგება შმართველი, შეიქნება გაწა-მაწია. ჩემი ვაებატონი კი გვერდზე იყურება და ამბობს:

— მიშველე-ეთ! ეს შმართველია? ეს მუშაკია? ეს კაცია? ქვეყანა გადაყლაპა და ახლა მე მიპირებს შექმას!

გვიანლაა, საჩივარს ინტრიგის სუნი ეცემა...

... სიცილის შესახებ მოგახსენებდით. ვისა აქვს უფლება, ჩვენზე გულიანად იცინოს? ერთ რამეში კი ყველა დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს: არ გაეცინება მხოლოდ იბას, ვისაც ჩემი ხუმრობა მხოლოდ ხუმრობა ჰგონია.

601680

ნარ. გ. ლექავასი



— ახლა კი მჯერა სიზმრებისა.

— რა მოხდა?

— მესიზმრა, თითქოს თეატრში ვიჯეპი, გამოვილვიდე და მართლა თეატრში არ ვყოფილვარი...

კავთარი გარემოთისაბეჭი

ზოგი ჩვენი დრომატურგის
დანა მიტომ იღესება,
რომ აკუწის რომანები,
გააქციოს პიესებად.


— იდეაც კი, — იტყვის იგი, —
ავტორს ვერ აქვს მოძებნილი...
და პიესას „ავსებს“ ბოლოს
საკუთარი „ქონცეფუციით“.

მას არ მოსწონს, თუ სუფრაზე
პერსონაჟი იღოცება;
ყველა გმირი იხლებურად
მისგან ელის „მირონცხებას“.

მერე მიდის რეესიორთან
და არიან ერთ ბრძოლაში—
პიესაში როგორ შევა
ტრაგიული პერსონაჟი.
რატომ უნდა დაიღუპოს
პიესაშიც მოდებაძე?
ჯობს, ფინალში წარვადგინოთ
იგი გმირის წოდებაზე.

ასე „ილწის“ დრამატურგი,
შემოქმედის ცეცხლში ცურავს.
გააქციო პიესა და
დაითანხმა რეესიურაცი...
პიესას და რომანს, ბოლოს
შეუდევს დიდი ზღვარი
თეატრი კი მაყურებელს.
ელის, მაგრამ არსად არი.

ირაკლი არაპული



— მიხაყედურებენ, ერთფეროვან პეიზაჟებს ხატავო! რა ჩემი ბრალია,
თუკი ამ ფანჯრიდან მეტი არაფერი მოჩანს!

მარიონეტის მაკრეატი

შალვა ივანეს-ძე ლაბაძე ოდესაც სახლმართველად
მუშაობდა, შარვალზე გრძელი ჯიბე ვერა და პირზე იმე-
დიანი სიტყვა, სამუშაობედ ბეჭედს ყოველდღე ლურჯ მელიშში
ასველებდა და ბეჭედის თითო დასმას მამასისხლად აფასებდა.
ვინ მოთვლის რაბდენი შესახლების გემო იგება და რამდენი
გამოსახლების ქოქოლა მიაყარეს შალვას. ბოლოს სახლმწი-
ფო სამსახურს თავი ანება და უხელფასო სახლმართველთა
სამსახურში ჩადგა, ხელში პატარა სამასხოვრო უბის წიგნაკი
დაიჭირა, მაკლერობა დაიწყო, ელბაჯიძის დაღმართზე პატა-
რა ბაღში მოიკალათა და „დასასვენებლად“ შესულ კლიენტებს
ისეთი ენაქერგა საბაქერო ჩერება—დარიგებანი შევება,
რომ მისი სახელი ჭვარტლიან ბოლივით მთელს ქალაქს მო-
ედო. ამოილებდა შალვა უბის წიგნაკს და ყოველ შეკითხვაზე
ისე ჩამოთვლიდა და შეაფასებდა გასაყიდ-გადასაცვლელ,
დასაშენებელ-გასაუართოებელ ბინის მისამართებს, თითქოს
მათ აშენებაზე კირის კასრების თრევისაგან ხელის გულები
ჰქონდა დაკოტერებული.

— საბინაო სამშართველოს ყველა ბინისაჟენ გზის გამ-
კვლევი, უმეტეს შემთხვევაში, ჩემო დაო, სახლმართველია...
ჰიდა, თუ ადამიანმა ქუუ იხმარა და ჩემისთანა პატიონსა კაცს
ხელში რამდენიმე ათასი ჩაუდო, ბინასაც კარგს იშოვის და
ბინის დამლოცველაც.

— ეჭ, ჩემო ძმაო, დათიკე მაკლერს ათასი კი არა,
ათიათასიც მივართვი, მაგრამ იმან ფული გადაყლაბა, მე კი
შეჩალზე დამტოვა.

— თქვენ ეს მითხარით, მუხლი როგორი გაქვთ? რევმა-
ტიზმებს ხომ არ უჩიიგთ? გულის ფრიალი ხომ არ იცით?

— რა ვენა ქა... ექიძი ხარ თუ მაკლერი?..

— თქვენ კითხვაზე შიპასუხეთ და ძეგლფას დროს გამო-
უსადეგარი ზეგითხვებიათ ნუ დამაკარგვინებთ... სპორტის სა-
ხელიდან რომელს უფრო ეტანებით? ფეხბურთი უფრო გი-
ყვართ თუ ცხენბურთი?

— რაღო დროს ჩემი ფეხბურთი და ცხენოსნობაა, ადა-
მიანო, ფეხზე ძლიერა ვდგავარ.

— ი, სწორედ ეგ მაინტერესებდა; მაშასადამე, თქვენ
ბინა გჭირდებათ ისეთ აღგილზე, სადაც ტრანსპორტის ბო-

ძრაობა ძალიან კარგად თუ არა, გვარიანად მაინც იქნება
დაყენებული და ქალაქის რაიონებს თქვენთვის ისეთივე მნიშ-
ვნელობა აქვს, როგორც ჩემთვის ამინდის გამოცვლას. არც
დინამის სტადიონი გაინტერესებთ და არც კიდევ დელისის
იძოდრომი... ჯანმრთელობითაც, მე მგონი, კარგად უნდა
ბრძანდებოდეთ და ყოველდღიურად მეხუთე სართულზე ას-
კალა-ჩამოსელა თქვენს სხეულში არც გულის ფრიალს გამო-
იწვევს და არც მუხლების აკანკალებას... ფულზე როგორ
ხართ, ხელზე გაქვთ თუ...

— ხელზე რად მექნება. ჩემო ძმაო, მურაბის ქილაში
მაქეს შენახული.

— აბა, მაშ ის ფული, დიდიღედოჯან, ჩემთან ჩამო-
ცურცულე და ბინაზე კი იძედიანად იყავი, თითქოს შიგა ყო-
ფილიარ მხარ-თეძოზე წამოწოლილი;

შალვამ ასანწოლანებს ალერსით მოუცაცუნა ხელი, ელ-
ბაქიძის დამართილან ფუნიკულარის აღმართზე გადაინაც-
ვლა და უხვი პურ-მარილით დაზნექილ ჭურჭლებს ისეთანა-
რად გაეთმაში, რომ ცაბრუტივით მოტრიალე მიმტანებმა
გაკირდებით ერთმანეთს გადახდეს.

დღითიდღე იზრდებოდა მარიფათიანი ლაბაძის კლიენ-
ტთა რიცხვი. სახელგანთქმულ მაკლერს სახლის კარები მა-
ღაზიასავით მამლის პირველ ყივილამდე ღია ჰქონდა და და-
ზაქრული სიტყვები არც ზაფხულის სიცხეზი. და არც ზამ-
თრის ქვატებია ყინვაზი არ ელეოდა.

— ელენა კლიენტასი მმართებს 3000 მანეტი. ჩაითვა-
ლოს გაუქერებულად.

— მიშა კოლოხს დავცანცლე 3000 მანეტი, ახია ჩემზე,
შემერგოს.

— რუბენ ჯანინვი ნოტარიუსში გაფორმებით შენდო
3000 მანეტს, დაიკვენოს როგო მიიღოს.

— გიორგი შურავლიოვანი შემწირა 6500 მანეტი. ხა-
ხვითი შემრჩა.—აგარჯიშებს მებესინებას ლაბაძე და თით-
ქოს საიდანლაც ესძის იდუმალი ხმა:

— ეცვა, ერთი დრო ვის შერჩენია, ჩემო შალვა, შენ
რომ შეგრჩეს.

ა კ ც ს ე რ ა მ თ ე რ ა ზ

1920 ვერ გოლიხორ

ნ. 2 ლოდის

ნ. 9 ლოდის



— გინ არან ა მიერას გმირები?
— ფიტჩის დარტემირი, წერილის და უკარი,
რომლიც იმდინ გმირისა გმირისნის, რომ უშეირთ
ჰოება სცენაზე გაიტნება.



— ღუარსა, ას თუ გამოიცნონ, ამ ოქატში
ჩამილი კაც ზის?
— ...თუ კაცი ვარ, ათასი იქნება.



— ლოდილ ზენ, ვერ გამოიცნონ, ათასი კა არა,
იც არა.
— უშებეს დალაპრინო, წასულან, თორებ ათა-
ოუ.

ჯერ შეცადეთ, მათებულიერ როიოდ სიტყვა: ფურ-
აის დაზურას მეტე მოასწრებთ.

შეუნი გვადასჭირო, რომ «დარტემირ აგამილის»,
ამისველ ყველას, მისი სქემის გამისაზრისიდა. ეს ასრი
ოფიციალ ქადაგირშემოსის, ფლოთს ორარის დარტემირს
უკუკემ, რის მცურავშელს ძალას თავას თერა-
ძის წარმოედგნა. რო გააიყენ ნერე იმს, თუ რე-
ისის გ გაურის დაგამოსჯულ საქმეს ხელმისაწერ
გვადასჭირება: ი, დამტერწმინდა, მის მე და თემე
მდგრად დაღმიტე გვადასჭიროსა, დაგვრიწმინდა: «დადი
მიკეცა», განისა გვადასჭიროსა, გვადასჭიროსა
და ჯვალების დარტემირის გარეშე ერთ წარმატებით,
კალიფი სკოლის სკოლის განვითარების ინ-
სტუდიას და მარტინის ერთ უკანას განვითარების
მასა, ამ გრძელება წინშედების მოისამართებოდა
მასა? ეს მან, როგორ იჩინდა ერთ და ცალკეულ
არამატერია ის ესთ, რო კარავანს თავასს ქრის-
ტა. ამის შემთხვევაში და ის დამტერწმინდა, მის არ დაფასა
და მაინ, პირ უკანას ერთ და ცალკეულის თავას
და რასაც აკანს გვადასჭირების თუმცა რას იჯამ, თემის
საქმე თვითოვე იყონის, რომ მთავარი და და-
რტემირი მთავარი და-
რტემირი.

ჟერ ამის შემდეგ
კი გვადასჭიროს, წერი-
ლის არარის რეპრე-
ტრუქის ძალას რომ შე-
ადამ ეკლესია და ამ

დანაკალის საცავები ასებს თვათ თეატრის დირექტორი
ან რეგისის? ან გაცეკვირებულ თეატრის კარის თუ ვა-
სხლის დაწესებულება, რომელს ძალას დაგვამს
თეატრი წელით აკამაზულის, ან კეკეცას მას ციცა
დასწრები რას არა, თოვის გვირი და მარტება, ასე არა
გამოსავათ მაგრამ ვა ვა ცელისად ცეცა ან ესის გა-
მართებას იმ სააპარა, თოვის მა სამარტეკულ ხასია-
ხლობას დამტერწმინდა! კი გამამართება თევენ შეუ-
ძლის, როგორ უკანას გამოდა ცურ სიკითხით ხალას
უძრისები აზრის წერვებისა?... კი წამისამაგრა შესწი-
ს მცირებაში აერ- კაც უშებეს და მარტებას, სარისა-
ხას, დამტერის ამ გრძლივრილობას მარტებას სურათების
თეატრის, თუ სკელისა ან კრელირილობას მარტებას
თეატრის სკელისა, თუ კრელირილობას, თვით
ადამიერით მარტებას?



ბ. მიტრიშვილი, მერი, არა მერა, ფიტჩი, უცხოება
და ბ. დალაპრინო: იმზა ჩერქეზი, თუ არ გაუსა გადამოსამართ წევის!

ი ლ პ: რი გადა სადაც, შეილი, რა და გადამოსამართ წევის?
ხ ჩერქეზი, იმით დატრენი და ისამართ მარტებას საცავისად არ

ჩავული

ხაშურიდან ვალესაქონ
ზიგავალო ჩარო!

საყარელო ნიანგო!

მართალია, ეს სიმღერა წყალტუბოს ქარს ეკუთვნის, მაგრამ რა ვწნათ, თუ ჩვენც გვამღერებს ხაშურიდან ვალეში მიმავალი მატარებელი?

გვამღერებს კი იმიტომ, რომ ხაშურ-ვალეს მატარებლის სამგზავრო ვაგონებს მინები უმთავრესად ჩამტვრეული აქვს, ზიგ ქარი დასეირნობს, სიცვე ღურლურით შემოდის და ამ „საპატიო“ მიზეზით—გამცილებლები თავს იყავებენ ღუძელების ანთებისაგან.

ვერც სისუფთავის დაცვით დაიტრაბახები ამ მარშრუტის გაძილებლები. მაგრამ ამას ჯანი გავარდეს, ცვირსაბოცები და პალტოები აქ არ არის?! მტვერს როგორმე გადავჭრენდო, მაგრამ რა ვუყოთ ციი ქარს, მას სულ არ ესმის ჩვენი სავედრებელი სიმღერა.

გვიშუამდგომლე, საყარელო ნიანგო, იქნებ ხაშურის დეპოს ხელმძღვანელებს უკეთესი სმენა აღმოაჩნდეთ!

გელა ნუგზარიძე

სასურველო ნიანგო!

ვბედე, ვბედე და ძლიერ გავბედე. შენთვის გამემთოლა ერთი სენსაცია:

ჩემში ოღონებინე მუზა. მუზა და რა მუზა! სულ ტლინკებივით მაყრის ლექსებს! ვწერ და ვწერ, მაგრამ მკითხველი არ გინდა?! პოდა, რაკი გავბედე, გივზაენი კიდეც პატარა ნიმუშს. ეს გახლავს ჩემი სახალშლო „ლოცვის“ ნაწყვეტი. აი ისიც:

„განგებაო და ახალწლის მადლო!

ჩვენი კოლმეურნების თავმჯდომარესავით, ჩვენი სოფსაბჭოს თავმჯდომარესავით გულგრილად ნუ შეხედავ ჩვენს სოფელს,—ვანის რაიონში შემავალ სოფელ კიროვსა. იხსენი ჩვენი გზა ტალასისა და ორმოებისგან, მოურჩინე ჩვენს ფოსტალიონს ჩემატიზმი, რომ მან იაროს უფრო მეტი თავგამეტებით.

და ღროვე მოგვაწოდოს უურნალები და გაზეთები,

დაეხმარე ჩვენს კლუბს ნაგავის გაწმენდაში და შიგ ისე შემოდი,

რომ აღირსო რემონტი.

იყავ ჩვენთვის სიკეთის მდომი.

ჩამოხსენ ამ ჩვენს ბიბლიოთეკას მძიმე ბოქლომი.

მოგვიცელინე ლექცია, ან კინოსურათი და შეისმინე, რაც მე დაგიხატ-დაგისურათე!..“

სულ ეს არის, ნიანგო, ნუ დამიწუნებ. მართალია შიგ რითმები ყავარჯენებით, დადიან, მაგრამ ისიც მართალია, რომ ის მთლიად მართალია!

იშერი

აშეანაგო ნიანგო!

მინდა წარმოეიდგინო, რომ შენ ბარისახოში ჩამოხველ. გხედავ და საგონებელში ვარ: სად გაათვე ღამეს? სასტუმრომ, რომელიც ოდესლაც არსებობდა, მნიშვნელობა დაკარგა, მისი ოთახები ინვენტართან ერთად ადგილობრივმა მომსახურებმა მიითვისეს:

დაგათვალიერებინებ კოტექსტურული ყანან პატარა ფიცირულ შეწუბაში დამტკიც გიტვი:

— ესაა მუშების სასადილო ოთახი.

გავიკრებული და დაეჭირებული ერთხანს მომაცერდები, რადგა... თვალწინ გადაგეშლება მომხიბლავი სურათი: ობობას მიერ გაბმულ აბლაბუდებით საესე ოთახში ორი მაგილაა. ვთქვათ, ერთხე, რომელიმე მანქანის ნაწილებს სწმენდენ, მეორეზე კი... სუფრას ვინ იტყვის, ეს ფიცირები მაინც ვადაეწმინდათ. ოთახს ამჟობს იატაქზე დაყრილი გამოხრული ძვლები, პაპიროსის ცარიელი კოლოფები, თევზისა და პურის ნაჭრები. თქვენი შემძედვარე სასადილოს გამგე ძია მიშა არათუ გაწითლდება, ყურადღებასაც არ მოგაქცევს. იჯექი, ელოდე, სანამ თავს თვითონ არ „მომოახლება“...

აქ დიდხანს ვერ გაჩერდები, მოგეწყნება და მოუსვამ, მაგრამ აქედან წასულა დიდი გამბედაობა იქნება შენის მზრივ. მთელი დღე უნდა ელოდო ავტომანქანებს. აქაური შოთრები სხვებს როდი ჰვანიან, ეინვალამდე 30—40 მანეთზე ნაკლებს არ გამოგართმევენ. იქნებ საქებ იქამდის მივიღეს, „თვითმცულელ“ ავტომანქანაზე მოგიიდეს დაჯდომა, იქ კი, სიცოცხლე მოგეცა, „კი დროს“ გაატარებ!

მაგრამ ეს მასპინძლური სიგნალი მაინც ნუ შეგაშინებს, ჩაიცვი რეინის ქალამნები და გვეწვიე. მე შენ გიტყვი, გამბედაობა გაქლია თუ?

ი. გამუკაური




— რა შიქენით, მოლად პუშკინს დამამსგავსეთ!

— ცუდ კაცს დაგამსგავსე თუ?

ნაზ. ნ. გალაზონიასი


ნამ. გ. ფირცხალავის

(13)




— ბათივცემულო ივანე, რატომ ერთხელ არ მოძრავდებით ხელაში და თქვენი შეილის ამბავს არ იკითხავთ?..

— სწორე გითხრათ, მაგისთვის არა მცალია, დისერტაციას ვწერ ბავშვთა ალზრდის საკითხებზე.



— რა დაგიშავე, ამხანაგო დირექტორო, რატომ დამაქვეოთე. ჩემზე დაბალი ვეღარავინ ნახე!



თემა მ. ოთაროვისა.

ნამ. ა. განდელაკისა.

რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქტო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, მ. გიგინეიშვილი, გ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал «Ниангі». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-42.

გამომ. № 1, ხელმოწ. დასაბ. 9/1-1956 წ. ქაღ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეკვ. № 3. უმ 00745 ტირ. 25.000.



25

19/1

56

ასოციაცია 3/32



ქოლონიალიზმი ნიღბით.